თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2813010

ნომერი: AR1435497

თარიღი : 26.08.2016

გაცემის თარიღი : 02.09.2016

გაცნობის თარიღი : 02.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის ტბის მიმდებარე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქვრივიშვილი პ/ნ 01001051652
- თბილისი.გლდანი. VII-მ/რ. კორპუსი23. ბინა 175

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "კანდიდი", საშუალო სკოლა კოდი: 209476173

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
დღეისათვის მოქმედი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით გათვალისწინებულია ტერიტორიების ძირითადი და სპეციალური ზონალური შეთანხმებით დასაშვები გამოყენების სახეობები. ამავე წესების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა ქვეზონისათვის, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებით დასაშვებ სახეობას წარმოადგენს ზონის ან/და ამ ზონაში დასაშვები შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხაზობრივი ნაგებობები ან/და დამხმარე ან/და დროებითი შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღობის მოწყობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამავე წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ნებართვის მაძიებელმა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე შესაბამისი, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა დააფიქსიროს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე განცხადებაში ან საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განცხადებაში. ვინაიდან, პირველი კლასის მშენებლობაზე სამსახურის მიერ გაიცემა არა მშენებლობის ნებართვა, არამედ წერილობითი დასტური და წერილობითი დასტურის გაცემის ფარგლებში არ ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე განაცხადის ფარგლებში იმსჯელოს პირველი კლასის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების საჭიროების მქონე ღობის განთავსების თაობაზე ან გადააგზავნოს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე განსახილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.